



N 21/9412
01/11/2023

9412-21-2-202311011005



სს „RMG Copper“-ს

მის: ბოლნისის რაიონი, დაბა კაზრეთი

ელ. ფოსტა: info@richmetalsgroup.com;

mkvaratskhelia@richmetalsgroup.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი N7914 განცხადება, რომელიც ეხება ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას (საწარმოს წარმადობის გაზრდა და დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა) და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილია გამამდიდრებელი ფაბრიკის სიახლოვეს დამატებითი სამსხვრევი კვანძისა და მიმღები ბუნკერის განთავსება. გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს აღნიშნული ობიექტის Shp ფაილები, თუმცა არ არის დაზუსტებული სამსხვრევი დანადგარის განთავსების კოორდინატი და Shp ფაილები. გარდა ამისა, დოკუმენტში მოცემულ სიტუაციურ სქემებზე სამსხვრევის განთავსების ტერიტორია წარმოდგენილია პოლიგონის სახით, რაც საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას. ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების პროექტში მოცემულ „საწარმოს გენ-გეგმაზე დაბინძურების წყაროებით“, დაზუსტებას საჭიროებს სამსხვრევის განთავსების წერტილი, რაც აღნიშნული წყაროს გათვალისწინებით ასევე შესაბამისობაში უნდა იყოს გაბნევის ანგარიშთან; ასევე მოცემული უნდა იყოს მადნის მიმღები მოედნის მიმდებარედ დაგეგმილი მისასვლელი გზის პარამეტრებისა და მოწყობის სქემის შესახებ ინფორმაცია და ზემოქმედების საკითხები. გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს მისასვლელი გზის (ხაზობრივი ნაგებობა) Shp ფაილები;
- 5.3 ქვეთავში აღნიშნულია, რომ განსაზღვრულია ბექთაქარის საბადოდან შემოსული მადნის მოცულობის გაზრდა 10000 ტონით თვეში, რაც მთლიანობაში შეადგენს თვეში 20000 ტონას. ხოლო, ვინაიდან, არსებული სამსხვრევი დანადგარი არ არის გათვალისწინებული აღნიშნული ზომის ფრაქციის მისაღებად, მიღებული

იქნა გადაწყვეტილება დამატებითი სამსხვრევი კვანძის განთავსებაზე. გზშ-ის ანგარიშის ცხრილში 5.4.1. (სამსხვრევი დანადგარის ტექნიკური მახასიათებლები) მოცემული ინფორმაციის თანახმად, დამსხვრევის I და II სტადიაზე მსხვრევისას დანადგარის საპასპორტო წარმადობა განსხვავებულია (I სტადიაზე - 309.5 მ³/სთ, II სტადიაზე - 180 მ³/სთ). ამასთან, არ არის მითითებული და დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი სამსხვრევი დანადგარის წარმადობა (წელიწადში), სამუშაო გრაფიკი, გადასამუშავებელი და მიღებული პროდუქტის რაოდენობა, ასევე სამსხვრევი გათვალისწინებულია მხოლოდ ბექთაქარის საბადოდან შემოსული, თუ სხვა საბადოებიდან შემოტანილი მადნის გადამუშავებაც. გარდა ამისა, გადასამუშავებელი მადნისა და დანადგარის წარმადობის (საათი, დღე, წელიწადი) შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ერთ საზომ ერთეულში (მაგალითად ტონა ან მ³);

- დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ სამსხვრევი დანადგარში მსხვრევა გათვალისწინებულია სველი თუ მშრალი მეთოდით. სველი მეთოდით მსხვრევის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია ტექნიკური/საწარმოო დანიშნულებით წყალმომარაგებისა და გამოყენებული წყლის შემდგომი მართვის შესახებ;
- წარმოდგენილი უნდა იყოს და დაზუსტებას საჭიროებს მე-4 სანაყაროს გაფართოების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ შესაბამისი ფართობის, მოცულობის, GPS კოორდინატებისა და SHP ფაილების მითითებით;
- გზშ-ის ანგარიშის 9.2. ქვეთავში (ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება და შემარბილებელი ღონისძიებები) ცხრილებში 9.2.2. და 9.2.3.1. მოცემული ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების წყაროების ჩამონათვალი არ ემთხვევა ერთმანეთს. კერძოდ, ცხრილში 9.2.3.1. არ არის გათვალისწინებული 9.2.2. ცხრილში მოცემული ხმაურის გავრცელების შემდეგი წყაროები: C_N-16 კონცენტრანტის შემსქელებლის ტუმბო (Copper); C_N-17 ჩატვირთვის უბნის მტვერდამჭერი (Copper); C_N-14 დამატებითი სამსხვრევი (Copper). ხოლო 9.2.2. ცხრილში არ არის მითითებული „მადნის მიმღები მოედანი - ღია (Copper).“ შესაბამისად, ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების წყაროების ჩამონათვალი საჭიროებს ურთიერთშესაბამისობაში მოყვანას, ხოლო ხმაურის გავრცელების განგარიშებაში გათვალისწინებულ უნდა იყოს ყველა წყარო, მათ შორის დაგეგმილი სამსხვრევის განთავსების წერტილის დაზუსტებით;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემული წყლის მართვის საკითხების შესახებ ინფორმაცია შესაბამისობაში უნდა იყოს ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) პროექტთან. კერძოდ, ზდჩ-ის ნორმების პროექტში არ არის ასახული მე-3 სანაყაროს დრენირებული წყლის (საჭიროების შემთხვევაში) პირდაპირ მე-4 სანაყაროს წყლის ქიმიურ გამწმენდ ნაგებობაში დაგეგმილი გადატუმბვის; მსუბუქი ავტოტრანსპორტის სამრეცხაოს წყლების მართვის მიზნით, შეწონილი ნაწილაკების უფრო მაღალი ხარისხით დალექვის უზრუნველსაყოფად, მოწყობილი 4000 მ³ დამატებითი სალექარის; სანიაღვრე წყლების მართვის გაუმჯობესების მიზნით, მადანსაზიდი გზის და შპს „RMG Gold“-

ის გროვული გამოტუტვის საწარმოო მოედნისაკენ მიმავალი გზის გასაყარზე, დაგეგმილი დაახლოებით 5500 მ³ მოცულობის დამატებითი სანიაღვრე შემკრები აუზის და 30000 მ³ მოცულობის დამატებითი წყალშემკრები რეზერვუარის შესახებ ინფორმაცია და სხვა. აღნიშნული საკითხები დაზუსტებას საჭიროებს ზდგ-ის ნორმების პროექტში;

- დაზუსტებას საჭიროებს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა გამოიწვევს თუ არა ჩამდინარე წყლის რაოდენობრივი მაჩვენებლების ცვლილებას;
- გზმ-ის ანგარიშში სრულყოფილად არ არის მოცემული საპროექტო ობიექტების GPS კოორდინატები და Shp ფაილები, მაგალითად: 5500 მ³ მოცულობის დამატებითი სანიაღვრე შემკრები აუზი; 2000 მ³ მოცულობის დამატებითი რეზერვუარი; 6000 მ³ მოცულობის საავარიო ავზი; 30000 მ³ მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარი და სხვა, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი (ზდგ) წარმოდგენილი არ არის „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილების მე-11 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, რაც საჭიროებს კორექტირებას. გარდა ამისა, დაზუსტებას საჭიროებს ზდგ-ის ნორმების პროექტის თავებში 6.2 და 6.3 წარმოდგენილი მავნე ნივთიერებათა გაანგარიშებული რაოდენობრივი მაჩვენებლები. ზემოაღნიშნული შენიშვნები გათვალისწინებული უნდა იყოს ზდგ-ის ნორმების პროექტში;
- გზმ-ის ანგარიშში არ არის განხილული ხელფრთიანებზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი, შესაბამისად, წარმოდგენილ უნდა იქნას დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ფულფროიანი ხეების ჭრის შემთხვევაში ხელფრთიანებისთვის დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

ტექნიკური ხაზის შენიშვნები:

- გზმ-ის ანგარიში ზურმუხტის ქსელის შესახებ მოიცავს მოძველებულ ინფორმაციას. ამჟამად არსებული მდგომარეობით საქართველოში ზურმუხტის ქსელი მოიცავს 66 ტერიტორიას, რომელთაგანაც ყველა დამტკიცებულია;
- გზმ-ის ანგარიშის ზოგ ქვეთავში მითითებულია საპროექტო კუდსაცავი.

გთხოვთ, 2 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

